ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის N128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკისა და თურქოლოგიის კათედრებზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 03 ივნისის N: 67/2024 დადგენილების მეხუთე პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი N4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **„11“ ივლისი 2024 წ.**

17[00] სთ; თსუ პირველი კორპ., აუდიტორია 503

სხდომას კომისიის 6 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი -

1. დარეჯან გარდავაძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარიამ ნანობაშვილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ელისაბედ ბჟალავა - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. გიორგი ლობჟანიძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. თამარ მოსიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ელენე ჯაველიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი.

დღის წესრიგი:

1. კენჭისყრის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. კომისიის თავმჯდომარისა და წევრთა მიერ შემაჯამებელ სხდომაზე აღინიშნა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის **არაბისტიკისა** და **თურქოლოგიის** კათედრებზე (ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა, თითო საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში ორივე საკონკურსო თანამდებობაზე წარმოდგენილია თითო (**არაბისტი ნინო დოლიძე**, **თურქოლოგი მზისა ბუსკივაძე**) კანდიდატურა.

კომისიას საკონკურსო დოკუმენტაცია გადმოეცა დალუქულ მდგომარეობაში და დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ ყოფილა.

ორივე კანდიდატი (**არაბისტი ნინო დოლიძე, თურქოლოგი მზისა ბუსკივაძე**) საკონკურსო კომისიის მიერ განხილულ იქნა კონკურსის ორივე ეტაპზე და მაღალი შეფასებით იქნა შეფასებული. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატთა შეფასებები აისახა ,,კონკურსანტის შეფასების ფორმებში".

შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ორივე კონკურსანტის განათლება (ნინო დოლიძე – აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგი, არაბული და ქართული ენებისა და ლიტერატურის მასწავლებელი თარჯიმანი; მზისა ბუსკივაძე – აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგი, თურქული და ქართული ენებისა და ლიტერატურის მასწავლებელი თარჯიმანი); აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ორივე კანდიდატი ფილოლოგიის დოქტორია) ვაკანსიათა პროფილის შესაბამისია, ამიტომ ორივემ მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს";

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) ორივე კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება; ორივეს აქვს მრავალწლიანი პროფილური პედაგოგიური გამოცდილება – ნინო დოლიძეს აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა უკავია 2012 წლიდან, მანამდე, 2001 წლიდან ამავე კათედრის მოწვეული ლექტორია; მზისა ბუსკივაძეს აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა უკავია 2020 წლიდან, მანამდე, 2007 წლიდან ამავე უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის თურქული ენის მასწავლებელია;

III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება;

ნინო დოლიძეს აქვს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი 27 სამეცნიერო სტატია, მათ შორის, 4 ინგლისურენოვანი და 1 მონოგრაფია, 5 რეცენზია, მრავალი მხატვრული თარგმანი (მათ შორის, 5 წიგნად გამოცემული); საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული აქვს 6 საერთაშორისო და 4 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში;

მზისა ბუსკივაძეს აქვს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი 24 სამეცნიერო სტატია, მათ შორის, 5 თურქულენოვანი და 3 ინგლისურენოვანი; საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული აქვს 8 საერთაშორისო და 7 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში;

მათი სამოტივაციო წერილები კარგად წარმოაჩენს კანდიდატთა თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ხანგრძლივ გამოცდილებასა და საკვლევ სფეროზე ორიენტირებულ სამომავლო გეგმებს.

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში ორივე კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

ნინო დოლიძეს საანგარიშო პერიოდში შესრულებული აქვს 9 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, 3 ნაშრომის რეცენზირება;

მზისა ბუსკივაძეს აქვს 13 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა და რეცენზირება; საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო საბჭოს წევრობა; თარგმანის საკონკურსო ჟიურის წევრობა;

კონკურსანტთა შეფასების ფორმებში ასახული შედეგები დადგა კენჭისყრაზე. კენჭისყრაზე ცალ-ცალკე გამოტანილ კონკურსანტთა შეფასებებს მხარი დაუჭირა სხდომის დამსწრე ყველა წევრმა.

ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, კონკურსანტებს - **ნინო დოლიძეს** და **მზისა ბუსკივაძეს** მიენიჭოთ **პრეტენდენტის სტატუსი** და მოწვეულ იქნან გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე შეფასდა პრეტენდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა, პროფესიული კავშირები და კონტაქტები შესაბამისი პროფილის საერთაშოორისო სასწავლო-სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებთან და სხვა ისეთი საკითხები და დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

აღინიშნა, რომ ორივე პრეტენდენტს - **ნინო დოლიძესა** და **მზისა ბუსკივაძეს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უკვე მრავალი წლის შრომითი ურთიერთობა აკავშირებთ, აქვთ უნივერსიტეტის სახელით მიღწევები პროფესიულ საქმიანობაში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებგარეთ, აქვთ სწავლებისა და კვლევის ხანგრძლივი გამოცდილება, უცხოეთის ცენტრებთან კონტაქტები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლები, საყურადღებო სამეცნიერო პუბლიკაციები, თარგმანები. მზარდი სამეცნიერო პროგრესით ორივე ხელს უწყობს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მიერ კიდევ ერთხელ გამოითქვა მაღალი აზრი გასაუბრებაზე პრეტენდენტების გამოსვლის შედეგების შესახებ, სადაც მათ დაწვრილებით ისაუბრეს საკუთარ სამეცნიერო კვლევით პროფილზე, სასწავლო-მეთოდურ საქმიანობასა და წაკითხულ სალექციო კურსებზე. კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ პრეტენდენტთა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა სავსებით და სრულად პასუხობს საკონკურსო მიმართულების მოთხოვნებს; მათი სამომავლო გეგმებიც საკმაოდ პერსპექტიული და რეალისტურია.

კომისიის წევრთა მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შეჯერების საფუძველზე ფარული კენჭისყრის შედეგად

გამოვლინდნენ გამარჯვებულები -

არაბისტიკის კათედრაზე გამოცხადებულ კონკურსში ასისტენტ-პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) - **ნინო დოლიძე**

თურქოლოგიის კათედრაზე გამოცხადებულ კონკურსში ასისტენტ-პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) - **მზისა ბუსკივაძე**

2. კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული მუშაობის მოცულობის, მნიშვნელობისა და 2014 წლის 22 დეკემბრის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N118/2014 დადგენილებით დამტკიცებულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესთან შესაბამისობის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო იყო მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისად განხორციელებული, შესაბამისად შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

1. დარეჯან გარდავაძე - (კომისიის თავმჯდომარე)

2. მარიამ ნანობაშვილი - (თავმჯდომარის მოადგილე)

3. გიორგი ლობჟანიძე - (კომისიის წევრი)

4. თამარ მოსიაშვილი - (კომისიის წევრი)

5. ელენე ჯაველიძე - (კომისიის წევრი)

6. ელისაბედ ბჟალავა - (კომისიის მდივანი)

თარიღი: 11. 07. 2024